# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 148

„22" მაისი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებითი სარგებლობის უფლებით (იჯარა), ელექტრონული აუქციონის ფორმით, გადაცემაზე თანხმობის გაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ელექტრონული აუქციონის ფორმით, დროებითი სარგებლობის უფლებით (იჯარით) გასცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 6 მაისის №18.13.512 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება ამავე განკარგულების დანართი 1-ით განსაზღვრული პირობებით.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

| ლოტის # | აუქციონის ფორმა | ობიექტის დასახელება | მისამართი | საკადასტრო კოდი | ფართობი (კვ.მ) | საწყისი წლიური საიჯარო ქირა (ლარი) | ბიჯის ოდენობა | სარგებლობის უფლების ვადა | სააუქციონო პირობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პირობიანი | უძრავი ქონება | ვარკეთილი 3, II მ/რ, კორპუსი №41-ის მიმდებარედ | 011939009086 | 145 | 2,900.00 | 87 | 5 წელი | დროებითი მსუბუქი კონსტრუქციის ავტოსამრეცხაოს განთავსება |
| 2 | პირობიანი | უძრავი ქონება | სოფელი გლდანი | 721319427 | 20 | 40.00 | 1.2 | 30 წელი | LTE ტექნოლოგიის ანძის განთავსება |
| 3 | პირობიანი | უძრავი ქონება | ქუჩა კოსტავა, №16-26 მიმდებარედ | 011502009015 | 157-კვ.მ-დან 3 კვ.მ დანართი 2-ის შესაბამისად | 320 | 9.6 | 5 წელი | |
| 4 | პირობიანი | უძრავი ქონება | ქუჩა სულხან ცინცაძე, №6 | 011017003026 | შენობა #1-ის სახურავზე არსებული 28.38 კვ.მ - ფართიდან 1 კვ.მ და 6 კვ.მ მიწის ნაკვეთი დანართი 3-ის შესაბამისად | 1800 | 54 | 10 წელი | ანტენის და მობილური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის განთავსება |
| 5 | პირობიანი | უძრავი ქონება | ქუჩა სარაჯიშვილი, №1გ | 011105036036 | 3572 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 25 კვ.მ ფართი დანართ 4-ის შესაბამისად და შენობა #1-ის სახურავზე არსებული 1 კვ.მ დანართი 5-ის შესაბამისად | 2200 | 66 | 10 წელი | ანტენის და მობილური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის განთავსება |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | პირობიანი | უძრავი ქონება | ქუჩა შარტავა, №7 | 011013015009 | შენობის სახურავზე არსებულ 2 კვ.მ ფართი დანართი 6-ის შესაბამისად და ტექნიკურ სართულზე არსებული 3 კვ.მ დანართი 7-ის შესაბამისად | 1800 | 54 | 10 წელი | ანტენის და მობილური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის განთავსება |
| 7 | პირობიანი | უძრავი ქონება | დიდ ლილოში | 810805465 | 320 კვ.მ მიწის ნაკვეთი | 200 | 6 | 20 წელი | რადიოტექნიკური ანძის განთავსება |